

ეფექტური ბილინგვური გაკვეთილი არაქართულენოვანი სკოლების დაწყებით
საფეხურზე (მათემატიკა)

გიორგი ჭაუჭიძე

ეთერ პატარკაციშვილი

მანანა მოლაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბერიკა შუკაკიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გ. ჭაუჭიძე

ე. პატარკაციშვილი

მ. მოლაშვილი

06.07.2015

აბსტრაქტი

ბილინგვური განათლება ნიშნავს განათლების მიღებას ორ ენაზე. ასეთი მიდგომა თანდათან იმკვიდრებს ფეხს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

საქართველოს არაქართულენოვან სკოლებში ბილინგვური განათლება დაწესდა 2010 წლიდან. აქ სწავლება, მოსწავლეთა მშობლიური ენების გარდა, მიმდინარეობს სახელმწიფო - ქართულ ენაზე. ამისთვის შემუშავებული და დაბეჭდილია ბილინგვური სახელმძღვანელოები, გადამზადებულია მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი, მაგრამ რეფორმა არაა გადაზრდილი ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. პრობლემებს ქმნის მასწავლებელთა დაბალი საგნობრივი კვალიფიკაცია და ენობრივი კომპეტენციების დაბალი ხარისხი, სასწავლო რესურსების არასახარბიელო მეთოდოლოგიური დონე, ქართულ სასკოლო სივრცეში ბილინგვური სწავლების გამოცდილების არარსებობა.

ჩვენ მიერ განხორციელებული პრაქტიკის კვლევისა და სამაგისტრო ნაშრომის შექმნის პროცესში გამოვიყენეთ კვლევის შემდეგი მეთოდები და მიდგომები: რაოდენობრივი (კონსულტანტ-მასწავლებელთა გამოკითხვა) და თვისებრივი (საგნის მასწავლებელთა ინტერვიუება, სიღრმისეული ინტერვიუება, ფოკუსჯგუფი) კვლევის მეთოდები, ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდოლოგია (დაკვირვება სკოლაში გაკვეთილებსა და მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობაზე), სამაგიდე კვლევის მეთოდი (სახელმძღვანელოებისა და ნორმატიული აქტების ანალიზი).

კვლევის შედეგად დადგინდა რომ

- მასწავლებელთა უმრავლესობამ არ იცის მეორე ენა, შესაბამისად სწავლებას ახორციელებს ძირითადად მშობლიურ ენაზე, რაც რა თქმა უნდა ძირითადი შემაფერხებელი გარემოებაა ბილინგური სწავლებისა.
- მასწავლებლებს არ აქვთ მოტივაცია, ვინაიდან ბილინგური სწავლება მოითხოვს უფრო მეტ შრომასა და დატვირთვას, ისინი ამჯობინებენ გაკვეთილი ჩაატარონ მხოლოდ ერთ ენაზე.
- მასწავლებელთა უმრავლესობა არ ფლობს ბილინგური სწავლების მეთოდიკას. ხშირ შემთხვევაში ისინი ამ მეთოდში გულისხმობენ მშობლიური ენიდან მეორე ენაზე სასწავლო მასალის ზუსტ თარგმანს.
- იმ მოსწავლეებს რომელთაც უვითარდებათ ბილინგური გაკვეთილები, აქვთ მეორე ენის ცოდნის უკეთესი დონე, ვიდრე დანარჩენებს.
- გამოიკვეთა ახალი სახელმძღვანელოებისა და სხვადასხვა რესურსების ნაკლებობაც.

აქედან გამომდინარე, ჩატარებული კვლევის და ნაშრომის ავტორების მხრიდან შემუშავებული და შემოთავაზებულია შემდეგი რეკომენდაციები:

რაუნდაგაკეთდეს იმისათვის რომ გაიზარდოს მასწავლებელთა კომპეტენციები დამათიმოტივაცია.

როგორ უნდა გავაუმჯობესოთ სახელმწიფო ენის ცოდნის დონე მოსწავლეებში ბილინგურის სწავლების გზით, რა პოლიტიკა უნდა გატარდეს სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით, რა დამატებითი რესურსებია საჭირო ეფექტური ბილინგური სწავლებისთვის.

ამის შემდეგ ვენდავგეგმეთ ინტერვეციები,

რომლებიც შევთავაზებთ პრაქტიკულ კვლევაში ჩართულ მასწავლებლებს.

კერძოდ, ჩვენი მეთვალყურეობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მასწავლებელი წინასწარ გეგმავს გაკვეთილს, წინასწარ განსაზღვრავს იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლის ცოდნაც მოსწავლეებს დასჭირდებათ ქართულ ენაზე. შესაბამისად იგი გაკვეთილზე ყურადღებას ამახვილებს ამ მიმართულებით და თავადაც სწავლობს მათ.
- მასწავლებელი ამზადებს კვირის თემატურ საგაკვეთილო ჩარჩოს. განსაზღვრავს შესასწავლ საკითხებს და მასში ქართული ენის საჭირო მინიმუმს.
- მასწავლებელი თანამშრომლობს ქართული ენის კოლეგა მასწავლებელთან. ქართული ენის მასწავლებელი შესაძლებლობის ფარგლებში მოსწავლეებს ავარჯიშებს საჭირო ლექსიკასა და ენობრივ კონსტრუქციებზე.

პრაქტიკული კვლევის შედეგად მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის მათემატიკის ბილინგვური გაკვეთილები გახდა წარმატებული. გაუმჯობესდა მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებლები დარწმუნდნენ, რომ ბილინგვური სწავლება შესაძლებელია განახორციელონ თვითონვე, თუმცა, გრაკვეული ყოველდღიური და რუტინული ძალიხმევა ამ მხრივ მათ უნდა გასწიონ. პრაქტიკის კვლევის შედეგად განხორციელებული აქტივობების შედეგები, ჩვენ მიერ შემუშავებული ხედვა, რეკომენდაციები და მიგნებები, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება საკითხით დაინტერესებული ყველა მხარისათვის. მათი გათვალისწინება კი დადებითად წაადგება დასახული მიზნის წარმატებით მიღწევას.

- ძირითადი საძიებო სიტყვები: ბილინგვიზმი, ბილინგვური განათლება, ბილინგვური გაკვეთილი, ბილინგვური